გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 1214 2017 წლის 19 ივლისი ქ. გურჯაანი

„დემონტაჟზე მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 დეკემბრის №3046 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე, 33-ე, 36-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე და მე-60 მუხლების, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის დირექტორის **ეთერ ქევხიშვილის** წერილობითი განცხადების (გამგეობაში რეგ. N1989 16.06.2017წ.) საფუძველზე, რომელშიც ითხოვს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურში სახელმწიფოს საკუთრებაში და სკოლის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო მიწის ნაკვეთზე ფართით 8814.0 კვ.მ (ს.კ. 51.03.62.010), არსებული საწყობის (ფართი-74,5 კვ.მ-ის) დემონტაჟზე ნებართვის ვადის გაგრძელებას, რაზეც გააჩნია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (27/04/2015წ MES 0 1500321829 წერილის) თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით,

ვბრძანებ,

1. შეტანილ იქნას ცვლილება გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 დეკემბრის N3046 ბრძანებაში „დემონტაჟზე მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ მესამე პუნქტში და მშენებლობის ვადა გაუგრძელდეს 6 თვით. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით შეტანილ იქნეს ცვლილება აგრეთვე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 26 დეკემბრის N3046 ბრძანების საფუძველზე გაცემულ №000290 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში და დემონტაჟის ვადა გაუგრძელდეს 2017 წლის 27 დეკემბრამდე.

2. ეცნობის აღნიშნულის შესახებ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გურჯაანი სანაპიროს ქ.№24);

გამგებელი **ზაზა ბაგივი გერგიძე**